

საქართველოს კანონი

“ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2006 წელი, №30, მუხ. 235) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფასა და დაფინანსებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (პირი) ან სახელმწიფო – სახელმწიფო ან სხვა სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში. წინასწარ პატიმრობაში მყოფი გამოსაკვლავი პირის ბადრაგირებას და საექსპერტო დაწესებულებაში მის დაცვას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დეპარტამენტი.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი